საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლაითაძე მიხეილ სერგოს ძე

ლაითაძე მიხეილ სერგოს ძე (დ. 15. III. 1944, თბილისი), არქიტექტორი, საქართვ. დამს. არქიტექტორი (2009). დაამთავრა სპი-ის (ახლანდ. სტუ) სამშ. ფაკ-ტი არქიტექტურის სპეციალობით (1967). 1967–88 მუშაობდა „საქქალაქმშენსახპროექტში“ არქიტექტორად (1972-იდან – პროექტის მთ. არქიტექტორი), 1988–97 – თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიის საპროექტო-სარეკონსტრ. ბიუროს დირექტორის მოადგილედ. ძირითადი ნამუშევრები: შინმოუსვლელთა მემორიალი (სოფ. ალიბეგლო, კახის რ-ნი, აზერბაიჯანი; 1981, თანაავტორები – მხატვარი უ. იმერლიშვილი, არქიტ. ვ. ქობულია); გაგრაში – 240-ადგილიანი კლიმ.-ბალნეოლ. კლინიკა (1985, ავტორთა ჯგუფთან ერთად) და სახელმწ. ბანკი (1986, არქიტ. ც. ჩიკვაიძესთან ერთად); ორივე დაჯილდოებულია დიპლომით სოფიის არქიტ. მსოფლიო ბიენალეზე (1987, ბულგარეთი); საცხოვრ. სახლი დიღომში (2010).